ტრანსგენდერების ცხოვრების, აღქმების, ჟესტების, ჩაცმულობის და სოციალიზაციის მსგავსებებისა და განსხვავებების კვლევა, ჰოლივუდურ ფილმებსა და ქართულ რეალობაში.

თეკლა ჯარიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები (კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მხეიძე, კინომცოდნეობის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა უცხოური წყაროების გაანალიზების შედეგად შემუშავებული კითხვარით, იმ ცხოვრების სტილის, ვიზუალის და სოციალიზაციის განსხვავებების და მსგავსებების პოვნა, რომელიც ქართველი ტრანსგენდერი ქალის და ქართველი კინომცოდნის გადმოსახედიდან არსებობს ჰოლივუდურ ფილმებსა (“დანიელი გოგონა“, „დალასის მყიდველთა კლუბი“) და საქართველოში მცხოვრებ ტრანსგენდერ ქალებს შორის. კვლევის ამოცანას იმის პოვნა წარმოადგენდა, თბილისში მცხოვრები ტრანსგენდერი ქალის და ქართველი კინომცოდნის აზრით, როგორ ხდება ჰოლივუდურ ფილმებში ტრანსგენდერი ქალების იდენტიფიცირება, როგორი ჟესტები, მანერები და ჩაცმულობა ახასიათებთ მათ და ასევე ამავე რესპონდენტების აზრით, იმ გავლენების პოვნა, რაც შეიძლება ჰოლივუდურ ფილმებს ტრანსგენდერი ქალების რეალურ ცხოვრებაზე ჰქონდეს. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ჰოლივუდურ ფილმებში რეპრეზენტირებული ტრანსგენდერი ქალების ჩაცმულობას, მიმიკებს და ჟესტებს რეალობის თითქმის ზუსტ რეპრეზენტირებად მიიჩნევს კვლევის ორივე რესპონდენტი. განსხვავებული მოსაზრებები აქვთ რესპონდენტებს სიუჟეტის შინაარსა და ფილმებში ტრანსგენდერი ქალების ცხოვრების განვითარებაზე. კინომცოდნის აზრით, ფილმებში შინაარსი და ტრანსგენდერი ქალის ქმედებები ზედმეტად გარომანტიზირებული და უტრირებულია, რათა რეჟისორს შესძლებოდა მაყურებელზე ზემოქმედების მოხდენა. ტრანსგენდერ ქალს, კი მიაჩნია, რომ ტრანსგენდერი ქალების ცხოვრება ფილმებში მაქსიამლური სიზუსტით არის რეპრეზენტირებული და თითქმის იდენტურად იმეორებს რეალურ ცხოვრებაში არსებულ ამბებს. რესპონდენტებს მსგავსი აღქმა აქვთ იმ გავლენებზე, რომელიც ჰოლივუდურმა ფილმებმა შეიძლება ქართველი ტრანსგენდერი ქალების რეალურ ცხოვარებაზე იქონიოს. მათ მიაჩნიათ, რომ თუნდაც ჰოლივუდში გადაღებული ფილმი შეიძლება იყოს ქართველი მაყურებლისთვის ბიძგი, ტრანსგენდერ ქალებზე ფაქტები სხვანაირად დაინახოს და დამოკიდებულება შეიცვალოს. კვლევამ აჩვენა, რომ ორივე რესპონდენტს ფილმის ძალის მტკიცად სწამთ და ფიქრობენ, რომ ფილმები კარგი საშუალებაა ტრანსგენდერული თემის პრობლემის საილუსტრაციოდ და შემდგომ ამ პრობლემის გადასააზრებლად.[1]

[1] აღნიშნული აბსტრაქტი გადამუშავებულია აკადემიური წერის კურსის ფარგლებში ჩემ მიერ